

# დამტკიცებულია

საქართველოს საავტორო უფლებათა ასოციაციის მიერ

ძალაშია 2015 წლის 11 მაისიდან და მოქმედებს 2019 წლის 11 მაისამდე

## განაკვეთები (ტარიფები)

საავტორო უფლებით დაცული ნაწარმოებების ხმის ან ვიდეო ჩანაწერის ფორმით რეპროდუქციებისათვის

სარგებლობის სახე	განაკვეთი
ნაწარმოების რეპროდუქცირება კომერციული მიზნით	გამოცემული ტირაჟის სადისტრიბუციო ფასის 7.2 %
ნაწარმოების რეპროდუქცირება არაკომერციული მიზნით	გამოცემული ტირაჟის ბიუჯეტის 7.2 %

- \* კომერციული მიზნით რეპროდუქციების მინიმალური ტირაჟი შეადგენს 300 (სამასი) ეგზემპლარს
- \* კომერციული მიზნით 300 (სამასი) ეგზემპლარზე ნაკლები რაოდენობის ტირაჟების შემთხვევაში გადასახდელი ჰონორარი იანგარიშება მინიმალური ტირაჟის ღირებულებიდან
- \* სადისტრიბუციო ფასი ამ განაკვეთების მიზნებისათვის განიმარტება როგორც ღირებულება დღგ-ის ჩათვლით, რა ფასადაც მოსარგებლე ახდენს პროდუქტის პირველად რეალიზაციას, მიუხედავად იმისა, აღნიშნული ხორციელდება საბოლოო მომხმარებლისთვის, ნებისმიერი შუამავალი რგოლისთვის თუ პროდუქტის დამკვეთისათვის მიწოდებით
- \* ბიუჯეტი ამ განაკვეთების მიზნებისათვის განიმარტება როგორც ნებისმიერი ფულადი თუ სხვა არაფულადი მატერიალური საშუალება დღგ-ის ჩათვლით, რომელიც მოსარგებლემ გახარჯა ნაწარმოების შესაბამისი ტირაჟით რეპროდუქციებისათვის
- \* განაკვეთები შეიცავს დღგ-ს

გიგა კობალაძე  
გამგეობის თავმჯდომარე